EUMM

დამკვირვებელი

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა

გამოცემა # 5 - ნოემბერი 2017

მცხეთის რეგიონალურ ოფისი ... მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ფარავს

მცხეთის რეგიონალური ოფისი არის საქართველოში განლაგებული მისიის სამი რეგიონალური ოფისიდან ერთ-ერთი. აქედან მისიის დამკვირვებლები პატრულირებას ახორციელებენ და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლებენ.

თანამშრომელთა რაოდენობის თვალსაზრისით მცხეთის რეგიონალური ოფისი ყველაზე პატარაა, მაგრამ მისი პასუხისმგებლობის სფერო ყველაზე დიდია - იგი აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთაღმოსავლეთით ახალციხიდან ჩრდილოეთით სტეფანწმინდამდე და აღმოსავლეთით ლაგოდეხამდე ფარავს.

რეგიონალური ოფისი აკვირდება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის აღმოსავლეთ ნაწილს, ოძისში კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტის ჩათვლით (იხ. გვერდი 2).

რეგიონალური ოფისი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობაზე, ბევრი იძულებით გადაადგილებული პირის ჩათვლით (იხ. გვერდი 5). ამ მუშაობის ფარგლებში, რეგიონალური ოფისი აკვირდება, თუ რამდენად დაზარალდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები და როგორი გავლენა შეიძლება ამან იქონიოს ქვეყანაში არსებულ სტაბილურობაზე.

23 კილომეტრში დედაქალაქიდან

რადგანაც საქართველოს დედაქალაქი თბილისი ახლოს მდებარეობს, რეგიონალურ ოფისს მჭიდრო კონტაქტები აქვს სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებებთან. მცხეთის რეგიონალურ ოფისს ასევე მთავარი წვლილი შეაქვს მისიის მანდატის მიერ დასახული ამოცანის განხორციელებაში, რომელიც წარმოადგენს დაკვირვებას საქართველოს სამხედრო და პოლიციური ძალების შესაბამისობაზე 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულებასთან, და ასევე მისიისა და საქართველოს ხელისუფლების შორის გაფორმებულ ცალკეულ შეთანხმებებზე, რომელიც მიზნად ისახავს სამხედრო და პოლიციური საქმიანობის სრულ გამჭვირვალობას, როგორც ნდობის აღდგენის ზომას (იხ. გვერდი 3).

საქართველოს 50% -ს ფარავს

საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი ექვსი რეგიონისგან შედგება და აქ დედაქალაქი თბილისიც მდებარეობს. ეს ნაწილი მოიცავს ქვეყნის დაახლოებით 50% -ს და მოსახლეობის 65%-ს. ესაზღვრება თურქეთს, სომხეთს და აზერბაიჯანს სამხრეთით და რუსეთს ჩრდილოეთით.

დიდი ტერიტორიები დაფარულია მთებით, როგორც ჩრდილოეთ, ასევე ცენტრალურ ნაწილში, სადაც არის ნაყოფიერი ხეობები, აქედან ყველაზე დიდი კახეთში ალაზნის ველია. მთავარი მდინარე არის მტკვარი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან თურქეთსა და ახალციხიდან მცხეთისა და თბილისის გავლით რუსთავსა და აზერბაიჯანში სამხრეთ აღმოსავლეთით, კასპიის ზღვისკენ მოედინება. სამხრეთით სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში არის ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების დიდი დასახლებები. ოსების უმეტესობა სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს, სადაც ასევე რუსეთის მნიშვნელოვანი სამხედრო წარმომადგენლობაა.

თანამშრომელთა რაოდენობის თვალსაზრისით მცხეთის რეგიონალური ოფისი მისიის სამი რეგიონალური ოფისიდან ყველაზე პატარაა, მაგრამ მისი პასუხისმგებლობის სფერო ყველაზე დიდია (ლურჯად მონიშნული).

აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონები

რეგიონი	მთავარი ქალაქი	მოსახლეობა	ფართობი
თბილისი	თბილისი	1,114,600	504 კმ²
ქვემო ქართლი	რუსთავი	427,400	6,072 კმ²
კახეთი	თელავი	317,500	11,311 კმ²
შიდა ქართლი	გორი	263,700	4,768 კმ²
სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	160,600	6,413 კმ²
მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	93,800	6,786 კმ²
სამხრეთ ოსეთი / ცხინვალის რეგიონი	ცხინვალი	53,000*	2,349 კმ²
სულ		**2,430,600**	**38,203** კმ²

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის მონაცემები (*დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მიერ 2015 წლის აღწერის მიხედვით).*

ადმინისტრაციული საზღვარი სამხრეთ ოსეთთან

სამხრეთ ოსეთსა და თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიას შორის U-ფორმის საზღვრის სიგრძე 390 კილომეტრია.

ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთ-ჩრდილოეთის ნაწილის აღმოსავლეთის მონაკვეთი მოიცავს 110 კილომეტრს რუსეთის ფედერაციის საზღვრიდან ჩრდილოეთით სოფელ ახმაჯამდე სამხრეთით. ეს მონაკვეთი მისიის მცხეთის რეგიონალური ოფისის პასუხისმგებლობის სფეროს ეკუთვნის.

ამ მონაკვეთის სამხრეთ ნაწილის გარდა, რელიეფი ძალიან მთიანია, რთული და თითქმის გაუვალი. მიუხედავად ამისა, გარდა ოძისის კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტისა, ხალხი ადმინისტრაციულ საზღვარს სხვადასხვა ადგილას გადაკვეთს.

მცხეთის რეგიონალური ოფისის დამკვირვებლები პატრულირებას ადმინისტრაციული საზღვრის ამ მონაკვეთზე ატარებენ. გორის რეგიონალური ოფისი პატრულირებას ადმინისტრაციული საზღვრის დანარჩენ ნაწილზე ატარებს.

ყაზბეგის საზღვრის გადაკვეთის პუნქტი, საქართველო / რუსეთის

თრუსოს ხეობა

თრუსოს ხეობაში მრავალი ისტორიული ძეგლია, რომელიც როგორც ქართული, ისე ოსური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად ითვლება. რადგანაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი ყველა მხარისთვის მნიშვნელოვანი თემაა, ადგილზე სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მისია ხეობაში პატრულირებას რეგულარულად აწარმოებს.

ახალგორის ხეობა

სოფელ ახალგორის მოსახლეობას და ახალგორის ხეობას სამხრეთ ოსეთში განსაკუთრებული სტატუსი იმის გამო გააჩნია, რომ ახალგორის მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური ქართველებია და ახალგორის ტერიტორია ქართული იურისდიქციის ქვეშ რჩებოდა მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთის უმეტესი ნაწილი გამოვიდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლიდან ადრეული 1990-იანების კონფლიქტის დროს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ეს ტერიტორია სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების კონტროლს დაექვემდებარა და ახალგორს ლენინგორი - საბჭოთა ეპოქის სახელი გადაარქვეს. თუმცა, ისტორიული და ეთნიკური მემკვიდრეობის გამო, ახალგორელებმა შეიძლება გამოიყენონ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის სამგზავრო დოკუმენტაცია, რომელიც ოძისის კონტროლირებად გადაკვეთის პუნქტში გადაკვეთის საშუალებას იძლევა.

საქართველოს სამხედრო გზა

212 კმ სიგრძის გზატკეცილი კავკასიონიდან თბილისში მთებს მიჰყვება, დარიალის საზღვრის გადაკვეთის პუნქტის გავლით, ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ვლადიკავკაზამდე (რუსეთი). ეს გზატკეცილი არის საქართველოს (თბილისის მიერ ადმინისტრირებული ტერიტორიის) რუსეთის ფედერაციასთან ერთადერთი დამაკავშირებელი გზა. ჯვრის უღელტეხილზე მისი მაქსიმალური სიმაღლე 2,379 მეტრს აღწევს.

ოძისის კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტი

ოძისის კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტი ერთადერთი გადაკვეთის პუნქტია, სადაც შესაძლებელია სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ადმინისტრაციული საზღვრის ავტომანქანით გადაკვეთა. დაახლოებით 100 სატრანსპორტო საშუალება და 400 ადამიანი (საერთო რაოდენობა ორივე მიმართულებით) ადმინისტრაციულ საზღვარს ყოველდღიურად გადაკვეთს. სამხრეთ ოსეთის მხარეს გადაკვეთის პუნქტში რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეები მუშაობენ. თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიის მხარეზე ნაკადის კონტროლს ყოფილი "ახალგორის პოლიციის" თანამშრომლები ახორციელებენ, რომლებიც ახლა თბილისის მიერ

რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეების ბაზები

2009-დან 2012 წლამდე სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეების 19 ბაზა იყო აღმართული. ისინი სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეების ობიექტების კომპლექსის ნაწილია. ბაზები, როგორიცაა მონიშნული ახმაჯის ბაზა, დაკომპლექტებულია რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეებით.

მცხეთის რეგიონალური ოფისის შესაბამისობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი აკვირდება საქართველოს მიერ აღებულ...

გამჭვირვალობისა და ნდობის ვალდებულებას

როდესაც ევროკავშირის შუამავლობით საქართველო-რუსეთის შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების ხელმოწერით 2008 წლის აგვისტოს სამამარი მოქმედებები დასრულდა, საჭირო იყო ჩარჩო შესაბამისობის საკითხებზე დაკვირვების ეფექტიანი საშუალებების უზრუნველსაყოფად.

იგი ჩამოყალიბდა, როდესაც მისიამ ხელი მოაწერა შეთანხმებებს საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან, რომელთა საშუალებით მისიისთვის ნებადართულია შევიდეს ობიექტებზე და დააკვირდეს სამხედრო და პოლიციის საქმიანობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შეთანხმებებთან შესაბამისობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ამ ეტაპზე მსგავსი შეთანხმებები არ არსებობს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რეგიონებისთვის, სადაც მისიას შესავლის შესაძლებლობა არ გააჩნია.

მისიისთვის სამხედრო და პოლიციის საქმიანობაზე დაკვირვების საშუალების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქართველოს გადაწყვეტილება ცალმხრივია და მსგავსი შეთანხმება რუსეთის ფედერაციასთან არ არსებობს. ურთიერთგაგების მემორანდუმებად ხსენებული შეთანხმებები საქართველოს სამინისტროებთან აჩვენებს ქვეყნის ნებას, გამჭვირვალეობისკენ მისწრაფებას და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზების ძიებას. დაკვირვების პროცესი მიზნად ისახავს იყოს ღია და გამჭვირვალე, უსაფრთხოებისა და კონფიდენციალობის საჭიროების გათვალისწინებით. ამ მემორანდუმებთან შესაბამისობაზე დაკვირვება არის შესაბამისობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მთავარი ამოცანა.

შეთანხმება სამხედრო შესაბამისობის შესახებ

თავდაცვის სამინისტროსთან ურთიერთგაგების მემორანდუმს ოფიციალურად ეწოდება "თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას შორის წინასწარი შეთანხმება ინფორმაციის გაცვლის თაობაზე". მას ხელი მოეწერა 2009 წლის 26 იანვარს. მისი მიზანია მისიას და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის ურთიერთქმედების ყოვლისმომცველი, გამჭვირვალე და ეფექტიანი მექანიზმი უზრუნველყოს.

შეთანხმება პოლიციის შესაბამისობის შესახებ

ასევე, 2008 წლის 10 ოქტომბერს ხელი მოეწერა "ტექნიკურ შეთანხმებას შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შორის". ეს არის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს სტაბილურობის უზრუნველყოფას კონფლიქტის მონაწილე მხარეებს და მისიას შორის ინფორმაციის გაცვლისა და კონსულტაციების გზით. მესამე მემორანდუმი, ტექნიკური შეთანხმება მისიასა და ახლახანს ჩამოყალიბებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის 2015 წელს გაფორმდა, როდესაც ეს უწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეყო.

ორივე მემორანდუმი ადგენს, თუ რაზე, სად და როდის შეიძლება დაკვირვება. ისინი ასევე დეტალურად განიხილავს ადმინისტრაციული საზღვრების მახლობლად დაშვებული ერთეულისა და აღჭურვილობის სახეობას და რა შეტყობინება უნდა გამოაგზავნოს მისიამ სადამკვირვებლო ვიზიტის წინ. საშუალოდ, ყოველ ექვს თვეში ერთხელ ხდება თითოეული ობიექტის მონახულება, მაგრამ ვიზიტებს შორის დრო შეიძლება განსხვავდებოდეს.

შესაბამისობის ვიზიტები ...

ნაბიჯ - ნაბიჯ

შესაბამისობის ვიზიტები ფართო სპექტრის საქმიანობას მოიცავს. ერთ დღეს საპატრულო ჯგუფმა შესაძლოა შავი ზღვის სანაპიროზე სანაპირო დაცვის ერთეული დაათვალიეროს, მეორე დღეს კი სასაზღვრო პოლიციის საკონტროლო-გამშვები პუნქტი მთაში, ეწვიოს ავღანეთში წასასვლელად გამზადებულ ქვეით ბატალიონს ან ქალაქის პოლიციის განყოფილებას.

შესაბამისობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის პატრულირება აუცილებელია მისიის მანდატის განსახორციელებლად და დამკვირვებლებისგან ხშირად შორეულ და ძნელად მისაღწევ ადგილებში გრძელ და რთულ პატრულირებას მოითხოვს.

1 **ვიზიტის დაგეგმვა.** შესაბამისობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის პატრულირების დაგეგმვა რამდენიმე დღით ადრე იწყება. მას შემდეგ, რაც შესაბამისობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი აირჩევს ობიექტს, რომელსაც ეწვევა, "წინასწარ გამოცხადებული ვიზიტის" შეტყობინება მზადდება. შეტყობინება განსაზღვრავს ვიზიტის დროსა და ადგილს და პიროვნებას, ვისთანაც დამკვირვებლებს სურთ საუბარი. რამდენიმე ობიექტზე, რომელიც შეიარაღების შეზღუდვების ზონებში მდებარეობს, შესაძლებელია მისვლა ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე. შეიარაღების შეზღუდვების ზონები არის მკაფიოდ განსაზღვრული ზონები ადმინისტრაციულ საზღვრების მიმდებარედ, სადაც შეზღუდულია ზუსტად განსაზღვრული იარაღის სისტემების მოძრაობა და განლაგება.

2 **წინასწარი შეტყობინება.** მისიის მეკავშირე ოფიცრის მიერ შესაბამის სამინისტროს გადაეგზავნება წერილობითი შეტყობინება მისიის სათავო ოფისიდან. სამინისტრო ამის შესახებ აცნობებს შესანბამის ობიექტს ვიზიტის თარიღისა და დროის შესახებ.

3 **ობიექტზე ჩამოსვლა.** ვიზიტის დღეს, შესაბამისობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი პატრულირებას შეთანხმებულ დროზე აწარმოებს. დამკვირვებლებს ყოველთვის აცვიათ მისიის ადვილად ცნობადი ლურჯი ჟილეტები და აქვთ საიდენტიფიკაციო მოწმობები რათა ობიექტზე ჩამოსვლისას თავიდან იქნას აცილებული რაიმე გაუგებრობა.

4 **ვიზიტის ჩატარება.** ჩვეულებრივ, ვიზიტი ითვალისწინებს ინფორმაციის გაცვლის შეთანხმებულ ფორმატს. მისიის როლისა და პასუხისმგებლობების ახსნა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კითხვების დასმა. პროფესიონალიზმი, კარგი კომუნიკაცია, იუმორი და გაგება, კარგი ვიზიტის ძირითადი ელემენტებია.

5 **ანგარიშგება.** თუ იქნება აღმოჩენილი დარღვევის რაიმე ფორმა, როგორიცაა შეიარაღების შეზღუდვების ზონაში არასანქცირებული იარაღი, ან პერსონალი, რომელიც არ ატარებს სწორ საიდენტიფიკაციო ნიშნებს, ეს აისახება მოკლე ანგარიშში, რომელიც თითოეული პატრულირების შემდეგ იწერება. ვიზიტების უმრავლეს შემთხვევაში, მისიის შესაბამისობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მუშაობა მაღალ შეფასებას იმსახურებს მიმღები ობიექტისა და მისი მეთაურის მხრიდან. არსებობს ზოგადი გაგება, რომ მისიის ვიზიტები ადასტურებს იმას, რომ საქართველო ასრულებს თავის შეთანხმებებს და გამჭვირვალობას ინარჩუნებს.

EUMM

- **გამოცემულია საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ**
- **კონტაქტი:** press@eumm.eu
- **დეზ დოილი, პრესსპიკერი:** des.doyle@eumm.eu
- **ჰასსე რესენბრო, პრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი:** hasse.resenbro@eumm.eu
- **გვეწვიეთ: www.eumm.eu, www.facebook.com/eumm.geo და www.flickr.com/photos/eeas-csdp/albums/72157677976230403**

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ამჟამად ევროკავშირის ერთადერთი მოქმედი მისიაა, რომელიც სპეციფიურად დაკვირვებაზეა მიმართული. 2016 წლის 12 დეკემბერს ევროპის საბჭომ მისიის მანდატი 2018 წლის 14 დეკემბრამდე გააგრძელა. ერიკ ჰოგი (დანია) მისიის მოქმედი ხელმძღვანელია. ადრე ამ თანამდებობაზე მოღვაწეობდნენ კიასტუტის იანკაუსკასი (ლიტვა), ტოივო კლაარი (ესტონეთი), ანდჟეი ტიშკევიჩი (პოლონეთი), და ჰანსიორგ ჰაბერი (გერმანია).

იძულებით გადაადგილებულ პირებთან მუშაობს

მისიის ყოვლისმომცველი მიდგომა - ჩართოს ადამიანის უფლებათა საკითხები თავის საქმიანობაში, კარგად ხორციელდება. მცხეთის რეგიონალური ოფისის ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი რეგულარულად აკვირდება სიტუაციას იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში წეროვანში, წილკანსა და ფრეზეთში, ასევე ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე მცირე დაშორებულ დასახლებებში და გორის მახლობლად.

ყოველ კვირას ან ორ კვირაში ერთხელ ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფები პოულობენ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი პირობები საშინელია. ზემოთ მოყვანილი ფოტო ასახავს ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას, რომელიც ჩვენს დამკვირვებლებს რეგულარულად ხვდება.

პატრულირებისას, ჩვენმა დამკვირვებლებმა შეიძლება რამდენიმე ასეული კილომეტრი გაიარონ, რათა დევნილთა ადამიანის უფლებებს და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას დააკვირდნენ. ეს მოიცავს დევნილთა გადაადგილების თავისუფლებას, საცხოვრებელ პირობებს და ძირითადი მომსახურების, როგორიცაა ჯანდაცვა და განათლება, ხელმისაწვდომობას.

ამ პატრულირების დროს ჩვენი დამკვირვებლები კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებში დევნილებთან და სხვა მაცხოვრებლებთან საუბრობენ.

ისინი ესაუბრებიან ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის უფლების მქონე მიმომსვლელებს, ასევე ადგილობრივი ადმინისტრაციების, სკოლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ამბულატორიების და სასურსათო მაღაზიების წარმომადგენლებს.

შაბათ-კვირის პატრულირება საშუალებას აძლევს დამკვირვებლებს შეხვდნენ ადამიანებს, ვინც თავიანთ სამუშაო კვირას სახლიდან შორს ატარებს. გარდა ამისა, ეს წყაროები საშუალებას აძლევს მისიას შეიქმნას მკაფიო სურათი იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის, გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ, რაც შეიძლება გამოიყენოს დონორმა ორგანიზაციებმა თავიანთ ძალისხმევაში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დახმარების გასაწევად.

კონტრასტების ქვეყანა

დროთა განმავლობაში რიგი დევნილების საცხოვრებელი პირობები არსებითად გაუმჯობესდა. თუმცა, ყოველ კვირას ან ორ კვირაში ერთხელ ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი ესაუბრება ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი პირობები არ აკმაყოფილებს უსაფრთხო და მისაღებ კრიტერიუმებს.

"განვითარების მართვის პრაქტიკის შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარება ადგილობრივ პასუხისმგებლობად რჩება, რის შედეგადაც სოციალურად დაუცველ ადამიანებთან კონტაქტი უშუალოდ დახმარების გაწევის საშუალების გარეშე ჩვენი ყველაზე დიდი გამოწვევაა", ამბობს მცხეთის რეგიონალური ოფისის გამოცდილი თანამშრომელი, რომელიც მანამდე სხვადასხვა ქვეყნებში იძულებით გადაადგილებულ პირებთან და ლტოლვილებთან მუშაობდა. იგი განაგრძობს: *"... ეს არის მომენტები, როდესაც თქვენ საუბრის შედეგის ცოდნის გარეშე იმპროვიზაცია უნდა გააკეთოთ. ეს შეიძლება სულელურად ჟღერდეს, მაგრამ როდესაც გულწრფელი ხართ, და ამავე დროს სხვების მოსმენას ახერხებთ, ეს ძლიერი ინსტრუმენტია, რომელიც უცნობი სიტუაციების მოგვარებას ხელს უწყობს."*

გადაადგილების თავისუფლებაზე საუბარი და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკებში "წინა ცხოვრების" მოგონებები თანამოსაუბრეებს თვალებს უცრემლებს. ღიად საუბარი მათი პრობლემების შესახებ საუკეთესო გამოსავალია, რომელიც ჩვენ შეგვიძლია კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თანამოსაუბრეებს შევთავაზოთ. ეს ხშირად გვეხმარება.

საქართველო კონტრასტების ქვეყანაა. მისი ხალხის ჭეშმარიტი სტუმართმოყვარეობა ფართოდ არის გავრცელებული. ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას ხშირად ვინმეს სახლში ან სუფრაზე მოწვევის მიღების შემდეგ ვიგებთ.

იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოში

იძულებით გადაადგილებული პირი არის ის ადამიანი, რომელიც აიძულეს დაეტოვებინა თავისი სახლი, მაგრამ ვინც საკუთარი ქვეყნის საზღვრებში რჩება. 90-იანი წლების და 2008 წლის კონფლიქტების შემდეგ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ ტერიტორიებზე განლაგებული სახლებიდან იძულებით იყო გადაადგილებული 230 000*-ზე მეტი ქართველი, რომლებიც თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე კოლექტიურ ცენტრებში ან კერძო საცხოვრებელში დასახლდნენ.

* *შიდა გადაადგილების მონიტორინგის ცენტრის მონაცემებით, საქართველოში 232,700 იძულებით გადაადგილებული პირია (2014 წლის დეკემბერი).*

წეროვანში დევნილთა დასახლებაში 2 000 57 მ² კოტეჯია, რომელიც ძირითადად 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სამხრეთ ოსეთიდან დევნილი ოჯახების მიერ არის დაკავებული.

საქართველოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები

მაშინ როდესაც თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე* მცხოვრები მოსახლეობა 2002 წლიდან 15% -ით (658,000) 3,713,804 * -მდე შემცირდა, ეთნიკური უმცირესობების წილი ორჯერ უფრო მეტად, 31% -ით შემცირდა. მიუხედავად ამისა, საქართველო ეთნიკურად ძალიან მრავალფეროვანია.

ისევე როგორც სხვაგან, განსხვავებულ წარმომავლობას, პოლიტიკურ და კულტურულ ორიენტაციას, ღირებულებებს და შეხედულებებს ეროვნულ და რეგიონალურ სტაბილურობაზე ზეგავლენის მოხდენის პოტენციალი გააჩნია.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინება, შესაბამისად, სტაბილურობისა და თანმიმდევრობის საკითხებში წვლილს შეიტანს.

მისიას მანდატის შესაბამისად ევალება დაუყოვნებლივ შეაფასოს და გააანალიზოს სტაბილიზაციის პროცესი, მათ შორის ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და ანგარიში წარადგინოს. ამ მიზნის მისაღწევად მცხეთის რეგიონალური ოფისი საქმიანობის დაგეგმვისას აღმოსავლეთ საქართველოს მრავალ ეთნიკურ ჯგუფთან დაკავშირებულ საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებებს და დაკვირვებას ითვალისწინებს.

რეგიონალური ოფისის ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი ატარებს ამ პატრულირებებს, რათა საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებას დააკვირდეს და ანგარიშები წარადგინოს. დაბალანსებული ურთიერთობის უზრუნველსაყოფად, თითოეული საპატრულო ჯგუფი ყურადღებით არის შეკრებილი კონკრეტული საზოგადოების საჭიროებათა შესაბამისად, მაგალითად, მნიშვნელოვანია, რომ ქალი დამკვირვებლები და თარჯიმნები იყვნენ პატრულირებაზე, რომლის დროსაც დაგეგმილია შეხვედრები ქალებთან და გოგონებთან.

** თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე 2014 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემებით.*

აფხაზები თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე
მოსახლეობა*..... 4,500
მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა 0.12

1990-იანი წლების კონფლიქტის შემდეგ ეთნიკური აფხაზი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი აფხაზეთში დარჩა. დღეს 3000-მდე აფხაზი ცხოვრობს თურქეთის მიმდებარე აჭარაში (აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში).

ოსები თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე
მოსახლეობა*.....14,400
მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა.....0.4

1989 წელს საქართველოში 164,055 ეთნიკური ოსი ცხოვრობდა (მოსახლეობის 3% -ზე მეტი). ოსური თემი ყველაზე ინტეგრირებულ ეროვნულ უმცირესობად ითვლებოდა. 1990-იანი წლების კონფლიქტმა ეს თანაფარდობა დაარღვია. 2001 წლიდან მოყოლებული ეს რიცხვი შემცირდა და დღეისათვის მხოლოდ 14000 ათასი ოსი ცხოვრობს კახეთის რეგიონში და ბორჯომის რაიონში სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთ ნაწილთან.

ქისტები თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე
მოსახლეობა *..... 5,700
მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა....0.15

ქისტების მოსახლეობა (ეთნიკური ჩეჩნები) პანკისის ხეობაშია კონცენტრირებული. ქისტების თემიც ასევე მცირდება და დაახლოებით 5,700 წევრს ითვლის.

სომხები თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე
მოსახლეობა *.....168,100
მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა.....4.5

2002 წლის აღწერასთან შედარებით, სომხური მოსახლეობა 32%-ით შემცირდა. ეს ჯგუფი სომხური სამოციქულო ეკლესიის უმრავლესობაა (109.000 წევრი). ისინი სომხეთისა და თურქეთის საზღვართან მდებარე სამცხე-ჯავახეთის სამხრეთ ცენტრალურ რეგიონში ცხოვრობენ, სადაც მოსახლეობის 40% შეადგენენ. ამასთან, 55.000 სომეხი დედაქალაქის 1,100,000 მოსახლეობის 4.8% -ია.

აზერბაიჯანელები თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე
მოსახლეობა * 233,000
მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა 6.3

ეთნიკური აზერბაიჯანელები საქართველოში უმცირესობათა შორის ყველაზე დიდი ჯგუფია. ჯგუფში შედიან როგორც შიიტი, ასევე სუნიტი მუსულმანები და საქართველოში მუსულმანური თემის ძირითად ნაწილს ქმნიან. ისინი ცხოვრობენ შედარებით კომპაქტურ არეალში, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმდებარე ისტორიულად ბორჩალოს სახელით ცნობილ რეგიონში.

რელიგიური კონფესიები საქართველოში

საქართველოს მოსახლეობის 83,4% მართლმადიდებელი ქრისტიანია და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას მიეკუთვნება. მოსახლეობის 2.9%, ძირითადად ეთნიკური სომხები - სომხეთის.

სამოციქულო ეკლესიას და დაახლოებით 1% - რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას.

შედარებით დიდი მუსულმანური თემი მრავალფეროვნებას ამატებს. ეს თემი ძირითადად ეთნიკური აზერბაიჯანლებისა და სამხრეთ-დასავლეთში, ძირითადად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისგან შედგება. 400,000 მუსულმანი მოსახლეობის 10.7% შეადგენს (2002 წელს - 9.9%).

ქვემო ქართლში მოსახლეობის 43% მუსულმანია, აჭარაში - 40% და კახეთში - 12%.

გარდა ამისა, საქართველოში 19,000 კათოლიკეა, 12,400 - იეჰოვას მოწმე, 8,600 - იეზიდი, 2,500 - პროტესტანტი და 1,400 - იუდაიზმის მიმდევარი.

ეთნიკური ქართველი მუსულმანებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის მთიან რაიონებისთვის ტიპიური მეჩეთი

60,000 პატრულირება საქართველოში

2017 წლის 20 ოქტომბერს, პარასკევს 06:05 საათზე მცხეთის რეგიონალურმა ოფისმა მისიის მე-60 000-ე პატრულირება ჩაატარა. 2008 წლის ოქტომბერში საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობის დაწყებიდან ყოველდღიურად საშუალოდ 18 პატრულირება ტარდება.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მე-60 000-ე პატრულირება ოძისის გადაკვეთის პუნქტის მიმართულებით ჩატარებულ ადმინისტრაციული საზღვრის პატრულირებას წარმოადგენდა და მასში მონაწილეობდნენ მისიის დამკვირვებლები ბულგარეთიდან, ექიმის თანხლებით.

პორტუგალიიდან და რუმინეთიდან, თარჯიმნისა და პატრულირებათა ამ მაღალი მაჩვენებლის მიღწევა წარმოადგენს ევროკავშირის მტკიცე და უწყვეტ მზადყოფნას ხელი შეუწყოს უსაფრთხო გარემოს საქართველოში და არ დაუშვას საომარი მოქმედებების განახლება.